ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3218606

ნომერი: AR1495159

თარიღი : 13.04.2017

გაცემის თარიღი : 21.04.2017

გაცნობის თარიღი : 21.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქეთევან წამებულის გამზირი N98;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა მახარაძე პ/ნ 01008005162
- თბილისი ი.გაგარინის ქ. N 14/16 ბ. 32

ორგანიზაცია:

- შპს "ტრანსსერვისი" კოდი: 206047874

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 8 ნოემბრის №974774 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 13 აპრილის #AR1495159 განცხადებით მომართა ბექა მახარაძემ, რომელმაც მოითხოვა 2013 წლის 8 ნოემბრის №974774 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 8 ნოემბრის №974774 გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირზე, N98–ში (საკადასტრო კოდი: #01.17.12.001.062) არსებულ მიწის ნაკვეთზე, მსუბუქი კონსტრუქციის სავაჭრო ჯიხურების რიგის აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

სამსახურის 2016 წლის 11 ნოემბრის №2940267 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოთ აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: არსებული საწყობის (შენობა №18/1) დროებითი სტატუსის, მსუბუქი ლითონკონსტრუქციებით რეკონსრუქცია.

ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს საპროექტო ობიექტად მსუბუქი კონსტრუქციის სავაჭრო ჯიხურების რიგის ნაცვლად დროებითი სტატუსის მქონე მსუბუქი ლითონკონსტრუქციის სასაწყობე პავილიონის დაფიქსირებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 2013 წლის 8 ნოემბრის №974774 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: დროებითი სტატუსის მქონე მსუბუქი ლითონკონსტრუქციის სასაწყობე პავილიონი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 8 ნოემბრის №974774 გადაწყვეტილებით, დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ, საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: დროებითი სტატუსის მქონე მსუბუქი ლითონკონსტრუქციის სასაწყობე პავილიონი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2013 წლის 8 ნოემბრის №974774 გადაწყვეტილებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.